პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 4 (19446) ◆ კვირა, 5 იანვარი, 1986 წელი. ◆ ფასი 8 კაპ.

შაბათობაზე გამოვა ყველა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მხარი დაუჭირა საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წინადადებას სკკპ XXVII ყრილობის აღსანიშნავად საკავშირო კომუნისტური შაბათობის მოწყობის შესახებ. 4 იანვარს რესპუბლიკის უწყვეტად მოქმედი საწარმოო გაერთიანებების, ქარხნებისა და ფაბრიკების შრომითს კოლექტივებში გაიმართა კრებები, რომელთა მონაწილეებმა მოუწოდეს ყველა მშრომელს გამოვიდნენ შაბათობაზე, გამოაცხადონ იგი უდიდესი შრომის ნაყოფიერების დღედ.

● **თბილისის** საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ საამწყობო საამქროს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა ქ. ნანდიაშვილმა თქვა: გავუშვებთ ახალ „ვლ-15“ ელმავალს, გამოვალთ შაბათობაზე და ვიშრომებთ დაზოგილი ელექტროენერგიით.

● **რუსთავის** მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში მეფოლადე თ. სანდერაშვილმა თქვა: შაბათობის დღეს ვიმუშავებ ჩქარონსულად და მოვუწოდებ ყველას, რომ მომბაძონ.

● **„ჰიათურმანგანუმის“** საწარმოო გაერთიანების მადაროთსამმართველოში მხარი დაუჭირეს შაბათობის მოწყობის ინიციატივას.

ჩვენს დიად საძმოზღვაოში

საკლუბის კორესპონდენტები გვატყობინებენ:

პლანეტა ჯანსაღი უნდა იყოს

ფონური მონიტორინგით ატმოსფეროს გლობალური გაჭუჭყიანების მახასიათებლების მიღების ხაშუალებას იძლევა ახალი დანადგარი „პოტ-2“. მისი დამონტაჟება დაამთავრეს პამირზე „აბრამოვის მყინვარის“ გლაციოლოგიური ბაეკსპერიმენტალური ბაზის თანამშრომლებმა. ამ აპარატურით დაადგენენ დაახლოებით ოთხი ათას მეტრ სიმაღლეზე მყინვარის აუზის რაიონში მიერიხა და თოვლის გაჭუჭყიანებას. ფონური მონიტორინგის „ზეციურ“ ლაბორატორიაში მიღებული მონაცემები მეცნიერებს ხაშუალებას მისცემს ერთმანეთს შეუდარონ სხვადასხვა ხადგურის გაზომვების შედეგები და იწინასწარმეტყველონ პლანეტის „ხიჭანსხვილ“.

სურათზე: აისი პამირის აბრამოვის მყინვარზე.



ატომური ყინულმჭრელი „როსია“ — ვადაზე ადრე...

ლენინგრადი. ფართოდ გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, ბალტიის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთსაშენებელი ქარხნის მუშებმა ვალდებულება იკისრეს ვადამდე გადასცეს ატომური ყინულმჭრელი „როსია“ შემკვეთს — მურმანსკის სახლვაო სანაოსნოს.

სურათზე: ყინულმჭრელი „როსია“.

კოსმოსი — ხალხის სამსახურში

აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული კოსმოსური კვლევის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების თანამშრომლებმა შეიმუშავეს მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის კოსმოსური ინფორმაციის გამოყენების გამოკვლევათა კომპლექსური პროგრამა. მისი პრაქტიკული რეალიზაცია სახარგებლო იქნება მხვნელ-მთესველებისა და გეოლოგებისათვის, მეტყევეებისა და ჰიდროლოგებისათვის, მეცხოველეებისა და მელიორატორებისათვის. აეროკოსმოსური სურათების წაკითხვის მეთოდიკა, რომელიც აზერბაიჯანელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს, საშუალებას მოგვცემს მივიღოთ ზუსტი ცნობები რესპუბლიკის სხვადასხვაგვარი ბუნებრივ-კლიმატური ზონების მდგომარეობის შესახებ. ახალგაზრდა მეცნიერებს — კოსმოსურ ბუნებათმცოდნეობას — დიდი მომავალი აქვს. იგი მოწოდებულია დაგვეხმაროს, რათა უკეთ შევიცნოთ ჩვენი მშობლიური სახლი — პლანეტა დედამიწა.

სურათზე: დედამიწის საიდუმლოებათა ამოსაცნობად...

ᲓᲐᲕᲐᲩᲥᲐᲠᲝᲗ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘ

დამზადებულია ბათუმში

რკინიგზის ვაგონებში ჩატვირთეს ჩაის ფაბრიკებისათვის განკუთვნილი მოდიფიცირებული დიდი როლერები, სხვა აგრეგატები. მზის სხივებზე კაშკაშებენ ყვითლად შეღებული მანქანების კორპუსები, ყოველ მათგანზე სპატიო ხუთკუთხედის გასწვრივ მკაფიოდ იკითხება წარწერა: „დამზადებულია ბათუმის მანქანათსაშენებელ ქარხანაში“.

ჩვენი ნახელავი საიმედოა, ამბობენ საწარმოს მუშები და ამ სიტყვებში კანონიერი სიამაყე იგრძნობა. მალე მატარებლის შემადგენლობა ქარხნის ალაყაფს გაავლის და რკინიგზის რომელიმე მახარისხებელ სადგურში „დაქუცმაცდება“. მისი ერთი ნაწილი აზერბაიჯანის, მოლდავეთის, უკბანისა და კამჩატკისკენაც კი აიღებს გეზს, მეორე — რომელიმე პორტიდან ვიეტნამში, ბულგარეთსა და თურქეთში გაიგზავნება.

მეთერთმეტე ხუთწლედში მრავალი ტექნიკური სიახლე განხორციელდა საწარმოში. შესანიშნავი გამოდგა, მაგალითად, აქაური გამომგონებლების გ. ცინცაძისა და ლ. ლაზიშვილის მიერ შექმნილი ჩაის გადასამუშავებელი უწყვეტი ნაკადური ხაზი. წინამორბედთან შედარებით ორჯერ უფრო მწარმოებლურია შ. ჩაგუნავას, გ. ფტომინისა და გ. ცინცაძის მიერ დამზადებული ჩაის დასამუშავებელი როლერები. ტექნოლოგიაში ახალი სიტყვაა აგრეთვე აქ შექმნილი ჩაის საჭრელი მანქანა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მიზნით საწარმოს კაშირი აქვს ქვეყნის მრავალ სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტთან. მეცნიერები ქარხანას ეხმარებიან როგორც ახალი მანქანების დანერგვაში, ისე სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულებაში, ახალი ტექნიკით აღჭურვაში. მაგალითად, კიევის პატონის სახელობის ინსტიტუტის კოლექტივთან შემოქმედებითი თანამეგობრობით შეიქმნა პლაზმური ჭრის დანადგარი, რომელიც ლითონს უეჭველად სწრაფად და წმინდად ჭრის. სწორედ მეცნიერების დახმარებით შეიქმნა აქ ნიკელითა და თუთიით ზედაპირის დაფარვის დიდმწარმოებლური მოწყობილობა. საწარმოში ოთხი ასეთი მოწყობილობა დამონტაჟდა. ინერგება ფხვნილთა მეტალურგია, რაც მკვეთრად ამცირებს დანაკარგებს. სამე ის არის, რომ ამ მეთოდით მიღებულ დეტალებს აღარ სჭირდება მექანიკური დამუშავება.

მეთერთმეტე ხუთწლედში 100-ზე მეტი მოძველებული დანადგარი შეიცვალა და ამით ქარხანამ ასიათასობით მანეთი დაზოგა. მარტო ის რად ღირს, რომ მანქანების კონსტრუქციისა და ტექნოლოგიური პროცესების დახვეწით შავი ლითონების გამოყენების კოეფიციენტი 0,84 პროცენტით გაიზარდა, რაც საუკეთესო მიღწევად ითვლება. მარტო ამ გზით 120 ათასი მანეთი დაიზოგა. დამონტაჟდა 20 დასახელების ახალი მანქანა და წაკადური, ხაზი, რის შედეგადაც საწარმომ 1.266 ათასი მანეთი მოიგო. მარტო შარშან დანერგილმა სიახლეებმა საწარმოს 500 ათასი მანეთი დაუზოგა.

ზემოხსენებულ ღონისძიებათა განხორციელებით ქარხანაში ახლა წარმატებით სრულდება საველმწიფო გეგმები. შარშანწინ გეგმის გადამეტებით აწარმოვეს ასიათასობით მანეთის პროდუქცია. საველმწიფო ხარისხისნიშნიანმა პროდუქციამ წარმოების მთლიან მოცულობაში 62,6 პროცენტი შეადგინა. გეგმით შარშანწინდელთან შედარებით უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილი უნდა გაზრდილიყო 3,2 პროცენტით, ფაქტობრივად გაადიდეს 17,8 პროცენტით. ეს საუკეთესო მაჩვენებელია. დინამიკას თუ გადავხედავთ, შესანიშნავ სურათს მივიღებთ. საპატიო ხუთკუთხედით 1977 წელს

ᲓᲐᲕᲐᲩᲥᲐᲠᲝᲗ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘ

დამზადებულია ბათუმში

საველმწიფო გეგმა. შარშანწინ გეგმის გადამეტებით აწარმოვეს ასიათასობით მანეთის პროდუქცია. საველმწიფო ხარისხისნიშნიანმა პროდუქციამ წარმოების მთლიან მოცულობაში 62,6 პროცენტი შეადგინა. გეგმით შარშანწინდელთან შედარებით უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილი უნდა გაზრდილიყო 3,2 პროცენტით, ფაქტობრივად გაადიდეს 17,8 პროცენტით. ეს საუკეთესო მაჩვენებელია. დინამიკას თუ გადავხედავთ, შესანიშნავ სურათს მივიღებთ. საპატიო ხუთკუთხედით 1977 წელს საწარმო უშვებდა ერთი დასახელების პროდუქციას, ახლა კი 11 სახეობის ნაწარმს ამზადებს.

ცნობილია, რომ ჩაის წარმოება ბევრად უსწრებს მის გადამუშავებას. მოზღვავებულ ნედლეულს პიკის სეზონში არსებული ფაბრიკები ვერ აუდიან. ამ დისპროპორციის შესამცირებლად მანქანათმშენებლები დიდ საქმეს აკეთებენ. ისინი არა მარტო გეგმის გადამეტებით უშვებენ მანქანებს, არამედ თვითონვე ქმნიან გაუმჯობესებულ დანადგარებსა და ნაკადურ ხაზებს. ნედლეულის დროული გადამუშავება, ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვა რაოდენობის ზრდასთან ერთად პროდუქციის ხარისხსაც აუმჯობესებს.

ბათუმელ მანქანათმშენებლებს დიდი წვლილი შეაქვთ ქვეყნის სასურსათო პროგრამის განხორციელებაში. ისინი მანქანებს ძირითადად კვების მრეწველობისათვის ამზადებენ. მათი დამკვეთია რძისა და ხორცის მრეწველობის, თევზის მრეწველობის, ხილბოსტნეულის სამინისტროები, ცეკავშირი და სხვა ორგანიზაციები.

საწარმოს კოლექტივმა მეთორმეტე ხუთწლედისათვის ახალი ამოცანები უნდა გადაწყვიტოს. დაიგეგმა ქარხნის გაფართოება-რეკონსტრუქცია, რის შემდეგ მწარმოებლობა ორჯერ გაიზრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი 32 მილიონი მანეთის პროდუქციას გამოუშვებს.

ახალი პროდუქციის წარმოება სიძნელეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ბათუმელებს საამისოდ დიდი გამოცდილება აქვთ — აქამდე ასობით სხვადასხვა დასახელების მანქანა და ნაკადური ხაზი შეუქმნეს.

ქარხნის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას უთმობს სოციალური საკითხების გადაწყვეტას. შარშან საექსპლოატაციოდ გადაეცა ორი საცხოვრებელი სახლი, ფართოდ იყენებენ მატერიალური სტიმულირების სხვადასხვაგვარ ფორმებს, ცოტა როდი კეთდება ახალგაზრდობის სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლადაც.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საწარმოში ყველა პრობლემა გადაწყვეტილია. ჯერ კიდევ ბევრი მუშაა ბინის რიგში, არ არის მოგვარებული ნედლეულის რიტმული მიწოდება, რაც ზოგჯერ კოლექტივის უგეგმო დატვირთვას იწვევს.

ბათუმელი მანქანათმშენებლები შრომობენ დევიზით: სკკპ XXVII ყრილობას 27 დამკვრელური კვირა და წარმატებასაც აღწევენ.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲓᲐᲕᲐᲩᲥᲐᲠᲝᲗ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘ

დამზადებულია ბათუმში

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ:

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲤᲛᲘ

წინ უპატაკეს სამშობლოს მეთერთმეტე ხუთწლიანი დავალების წარმატებით შესრულება.

ისინი განსაკუთრებით ნაყოფიერად გაისარჯნენ შარშან, როდესაც დამზადეს დიდალი ზეგეგმითი პროდუქტები, დაზოგეს 650 ტონაზე მეტი კომბინირებული საკვები, მიიღეს საგეგმოსთან შედარებით ორჯერ მეტი — 300 ათასი მანეთი მოგება, 11,7 პროცენტით გაადიდეს შრომის ნაყოფიერება და 17,1 პროცენტით შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება. შარშანვე მათ გაიმარჯვეს 1984-85 წლების ზამთრის პერიოდში პირუტყვის წარმატებით გამოზრდის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის გაშლილ საკავშირო შეჯიბრებაში, ხოლო რეპროდუქტორს მიენიჭა კომუნისტური შრომის საწარმოს სატიტო წოდება.

— მეთერთმეტე ხუთწლედში, გვითხრა რეპროდუქტორის დირექტორმა, „სატიტო ნიშნის“ ორდენოსანმა ახალგაზრდა სპეციალისტმა ა. წულაიამ, — ჩვენს საწარმოში ბევრი სასიკეთო სიახლე დაინერგა, რამაც საგრძნობლად გაზარდა წარმოების მოცულობა, მაგრამ წარმატებები, ძირითადად, მაინც მუშაობის პროგრესული ფორმის—ბრიგადული ჯარის დანერგვამ მოგვიტანა. ამჟამად მეფრინველეთა ოთხივე ბრიგადა ჩვენთან ამ მეთოდით მუშაობს, ამან კი განუზომლად გაზარდა თითოეული წევრის პასუხისმგებლობა და დაინტერესება საერთო საქმის წარმატებისათვის, საგრძნობლად განმტკიცდა დისციპლინა, უფრო სრულყოფილი გახდა საწარმოო პროცესი და სხვ. მაჩვენებლები მართლაც არა გვაქვს ურიგო, მაგრამ მიღწეული ზღვარი არ არის. მით უმეტეს, რომ მთავრდება საწარმოს გაფართოება-რეკონსტრუქციის სამუშაოები, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო გავზარდოთ ჩვენი წვლილი იმ დავალებათა შესრულებაში, რომლებსაც პარტიის მორიგი, XXVII ყრილობა დაგვისახავს.

სწორედ ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა ამ დიდი ფორუმის ღირსეული, ახალი წარმატებებით შეხვედრა არის ამჟამად ვ. კვარაცხელიას, ა. დავითაიას, დ. ზალამბერიძის უგანრიგო ბრიგადის წევრების და, საერთოდ, თითოეული აქური მშრომელის უმთავრესი მიზანი, რომლებიც ახალი წლის პირველი დღეებიდანვე ნაყოფიერად შრომობენ საამისოდ.

(„კომუნისტის“ კორ.).

ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲗᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ

საგარეჯო (საკ. კორ.) გიორგწმინდის მეღორეობის კომპლექსის კოლექტივმა გულმოდგინედ გააანალიზა, აწონ-დაწონა თავისი შესაძლებლობანი და ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრა ახალი წლისათვის.

პირუტყვის კარგი მოვლით, კვების ორგანიზაციის გაუმჯობესებით გიორგიწმინდელები სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღემდე დარჩენილ დროში დაზოგავენ 34 ტონა საკვებს, რითაც ორ დღეს გამოიკვებება კომპლექსის ღორების მთლიანი სულადობა. განზრახულია აგრეთვე მეთორმეტე ხუთწლედში შრომის ნაყოფიერება გაიზარდოს 20-23 პროცენტით, პროდუქციისა და სამუშაოთა თვითღირებულება კი შემციროდეს არანაკლებ 5-7 პროცენტით.

გიორგიწმინდელ მეღორეთა ამ პატრიოტულ თაოსნობას საგარეჯოს რაიონში ბევრი მხარდამჭერი და მიმდევარი გამოუჩნდა.

ვლ. მჰედლიშვილი.

ᲡᲣᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘᲗ

პირობა ერთგულად ბიბლიოთეკა ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡ-ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲑᲐᲖᲡᲐᲓᲔᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ

როგორც ვიუწყებოდით, ქუთაის-სოხუმის გაზსადენის მაგისტრალის მშენებლობა უბნებად არის დაყოფილი. მაგისტრალის ილორ-სოხუმის მონაკვეთზე, რომელსაც საწარმოო გაერთიანება „საქტრანსგაზის“ სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო (უფროსი — მ. ანთელავა) აწარმოებს, ნორმალური მდგომარეობაა, სამუშაოები დასასრულს უახლოვდება.

...ზამთარი ყველაზე უფრო მძიმე პერიოდია მშენებლობაზე, განსაკუთრებით კი იქ, სადაც მშენებლებს ღია ცის ქვეშ უხდებათ მუშაობა. მოსალოდნელი იყო, რომ ქუთაის-სოხუმის გაზსადენის მაგისტრალის ინგურ-ილორის მონაკვეთის მშენებლები ყოველ ღონეს იხმარდნენ იმისათვის, რომ ზაფხულის და შემოდგომის ხელსაყრელი ამინდები მაქსიმალურად გამოეყენებინათ და რთულ ბუნებრივ პირობებში განსახორციელებელი ოპერაციები წინასწარ შემუშავებული გრაფიკით შეესრულებინათ, მაგრამ ეს ასე არ მომხდარა. როგორც საქმიდან ჩანს, მშენებლებმა ზამთრის მოახლოება არ გაითვალისწინეს და ნელი ტემპით მუშაობდნენ. და მხოლოდ მაშინ, როცა წვიმებმა მოუხშირა და სიცივეები დადგა, მაგისტრალის მშენებლობაზე გაგაში ატეხეს, მშენებლები დაფაცურდნენ. ეს კი საქმეს ვერ შველის. გართულდა ამ დაჭაობებულ ადგილებში მიწის სამუშაოებისა და გაზსადენი მილების საიზოლაციო სამუშაოების შესრულება. ჩამორჩენის ობიექტური მიზეზების ძებნაში მშენებელთა მეთაურები ტექნიკის ნაკლებობას და სხვა ფაქტორებს იშველიებენ. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ეს ნაწილობრივ ასეც არის.

განსაკუთრებით გაუჭირდა და დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა „საქგაზმშენის“ აფხაზეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს (უფროსი — გ. ბახტაძე) კოლექტივი. წელიწადზე მეტია, რაც იგი ენგურის მარჯვენა ნაპირიდან სოფელ ილორამდე 33-კილომეტრიანი ტრასის გაყვანაზეა დასაქმებული. სამუშაოთა დამთავრების დაწესებული ვადები ამოიწურა, მაგრამ გასაკვირველი ჯერ კიდევ ბევრია. ბექანიზების სიმძლავრეთა ნაკლებობის გამო აქ მილების შედუღების სამუშაოები კომპლექსურად არ წარმოებდა. ამით აიხსნება, ის ფაქტი, რომ დღეისათვის გაზგამტარის მთელი ხაზი თითქმის შედუღებულია, ხოლო მილების იზოლაციისა და მათი მიწაში ჩადების სამუშაოები მხოლოდ ახლახან დაიწყეს. ეს რთული ტექნოლოგია თავისებურ პირობებს მოითხოვს. ამას წვიმიან ამინდში ვერ გააკეთებ. აპრილიდან ოქტომბრის დამლევამდე მშენებლები მხოლოდ მილების შედუღების სამუშაოებზე იყვნენ დასაქმებული, ხოლო მათს იზოლაციასა და თხრილში ჩაწყობაზე ნაკლებად ზრუნავდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „საქგაზმშენის“ მექანიზაციის სამმართველო (უფროსი — ვ. ტრაპაიძე) თავისი სისტემის ამ სამონტაჟო სამმართველოს სამუშაოების დაწყების დღიდან არ ამარაგებდა საჭირო მექანიზმებით. სწორედ ამ და სხვა მიზეზებით გასული წლის მაისიდან დღემდე ტრასაზე უხეშად ირღვევა სამუშაოთა წარმოების საკვირაო სადღეღამისო გრაფიკი. გაზსადენის მშენებლობის მექანიზმებით დაუყოვნებლივ უზრუნველყოფის საკითხი არაერთხელ დასმულა „საქგაზმშენის“ ტრესტის ხელმძღვანელობის წინაშე, მაგრამ ამას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. დღეისათვის მექანიზატორებმა ტრასის გაყვანისათვის დაგეგმილი 400 ათასი მანეთის ნაცვლად, დაახლოებით 45 ათასი მანეთის სამუშაოები შესრულეს. აქ მხოლოდ ახლახან, დიდი დაგვიანებით მიიღეს ორი ექსკალატორი, რომლებიც მეტწილად უქმად დგანან, მშენებლებს გადასალახავი აქვთ მრავალი დაბრკოლება, მთის მდინარე და ღელე, მათ შორის — მდინარე სიდა, ხვიტი, ოჯოღორე, ინგურის ახალი არხი, მდინარე ოქუმი, საქმე იმანაც გაართულა, რომ ადრინდელი პროექტით ვარაუდობდნენ ზემოხსენებული ბუნებრივი ზღუდეების მიწისზედა ვარიანტით გადალახვას. ახლა კი გადაწყვიტეს მათი მიწისქვეშა ვარიანტით შეცვალა.

ინგურ-ილორის მონაკვეთის მშენებლობასთან ერთად „საქგაზმშენის“ აფხაზეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს დავალებული აქვს ავტომატური გაზგამანაწილებელი სადგურიდან, ქალაქ სოხუმის ბარათშილის ქუჩამდე 6,9-კილომეტრიანი ტრასის გაყვანა. მაგრამ, სამწუხაროდ, მდგომარეობა აქაც არ არის სახარბიელო. ამ სამუშაოების შესასრულებლად სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გაზსადენის მშენებლები სათანადო . ტექნიკით მოამარაგა, მაგრამ ისინი მაინც არ ჩქარობენ. აქ სხვადასხვა მიზეზით ხშირია ტექნიკის მოცდენის შემთხვევები და სამუშაოები შეუწყვეტლად ჭიანურდება.

სამწუხაროდ, სოხუმელებმა ბუნებრივი გაზი ვერ მიიღეს საახალწლოდ.

ი. გოგებჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ — ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ

ᲩᲐᲘᲡ ᲒᲣᲜᲩᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ „ᲐᲛᲭᲚᲣᲐ“

ელექტრონული კაბელის საყრდენი იქნება არა ხის ბოძი, არამედ ჩაის ბუჩქი. მეცნარის ვარჯში ელექტროხაზის გაყვანის მეთოდი შეიმუშავეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მოსავლის ასაღები და მეცხოველეობის მანქანების კათედრაზე.

— აქამდე ჩაის ხელის საკრეფი აპარატები იკვებებოდნენ საჰაერო ქსელის დენით, — განმარტა სიახლის არსი რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარის მოადგილემ რ. ფანცხავამ. — ამისათვის ერთ ჰექტარ პლანტაციაში დგამდნენ ხუთ-ექვს ბოძს, მათ ბეტონით ამაგრებდნენ გრუნტში.

კაბელის შპალერული ხაზები კი გაიყვანეს ბუჩქების ვარჯის ქვედა ნაწილში 45 სანტიმეტრზე ერთმანეთის პარალელურად. ძაბვა ხაზებს ეძლევათ სოფლის ჩვეულებრივი ქვესადგურებიდან.

ბალის რაიონის ხუმუშქურის ჩაის საბჭოთა მურნეობაში განხორციელებული სიახლის საწარმოო გამოცდებმა ცხადყო მიწისზედა ელექტროქსელის საიმედოობა და ექსპლუატაციის უსაფრთხოება. 18-ჰექტარიანი ექსპერიმენტული ელექტრიფიცირებული ნაკვეთიდან გასულ სეზონში მოკრეფეს 87 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, უფრო, მეტი, ვიდრე წინა წლებში, როცა ამავე პლანტაციებში ნედლეულს მობილური მანქანებით იღებდნენ.

მცირე მექანიზაციის საშუალებებით ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის უპირატესობებზე გეესაუბრება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგე, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. შხვაცაბაია:

— საქართველოში ჩაის პლანტაციების ფართობის ოთხმოცი პროცენტი განლაგებულია მთის ფერდობებზე და ციცაბოკონტურიან ნაკვეთებზე, სადაც თითქმის შეუძლებელია მობილური მანქანების გამოყენება. გამოსავალი ერთია — ხელის ჩაის საკრეფი აპარატების ფართო გამოყენება. მათ მთელი რიგი უდავო ღირსებები აქვთ: არავითარ ზიანს არ აყენებენ ნიადაგს, იცავენ მას ზედმეტი დატკეპნისა და დაშლისაგან, ფოთლის ხარისხიც ხომ ხელის ასაღები აპარატებით კრეფისას არ უარესდება. ამ აპარატების უნარიანი ექსპლოატაციისას პირველი ხარისხის პროდუქციის ხვედრითი წილი შეიძლება მივუახლოოთ ხელით მოკრეფილი ფოთლისას. ამ მექანიზმების გამოყენება საშუალებას გვაძლევს მნიშვნელოვნად გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება. (საქინფორმი).

ᲓᲦᲔᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘᲐ:

- სკკპ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ. (მე-2 გვ.).
- ᲕᲣᲒᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲒᲔᲰᲔᲓᲚᲘᲡ — ᲡᲢᲐᲢᲘᲐᲡ „ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲗ, ᲒᲣᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲮᲔᲚᲔᲑᲘᲗ“. (მე-3 გვ.).
- ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ. (მე-4 გვ.).
- ᲘᲣᲛᲝᲠᲘ ᲑᲐᲮᲣᲡᲘᲡ ᲡᲐᲣᲤᲚᲝᲨᲘ. (მე-4 გვ.).

სკკპ XXVII ყრილობის შესახებ

განვიხილავთ პარტიის ყრილობის წინა დოკუმენტებს

მუშაობენ უნარჩენო ტექნოლოგიით

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტით ჩვენს რესპუბლიკაში გათვალისწინებულია ელექტროტექნიკური მრეწველობის უპირატესი წინსვლა. როგორც სკკპ ახალი პროგრამის, ისე ძირითად მიმართულებათა პროექტებით დიდი უურადღება ეთმობა ეკონომიის რეჟიმის გაძლიერებას, მეორეული რესურსების გამოყენებას, უნარჩენო ტექნოლოგიას.

რა კეთდება ამ მხრივ რესპუბლიკის ელექტროტექნიკური მრეწველობის ერთ-ერთ მოწინავე საწარმოში — ზესტაფონის „საქკაბელის“ ქარხანაში?

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მეთერთმეტე ხუთწლედი ამ საწარმოსათვის არნახული წინსვლის პერიოდია. ეს განაპირობა ქარხნის ხელმძღვანელობის, მისი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მიზანდასახულმა მუშაობამ, საქმისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებამ. მათ შეძლეს კოლექტივის დარაზმვა მის წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად. განხორციელდა მრავალი ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის ღონისძიება, რომლებმაც საშუალება მისცა ელექტრიკოსებს დროის ფეხდაფეხ ევლოთ.

— ჩვენი ყოველდღიური მოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად, — ამბობს ქარხნის დირექტორი გ. კუჭუხიძე, — მოგვეხსენებოდეთ. საქმე ის არის, რომ პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურაში ნედლეული და ძირითადი მასალები 85 პროცენტს შეადგენს. ამიტომ მათ რაციონალურ გამოყენებას მივანიჭეთ გადამწყვეტი მნიშვნელობა და ბევრსაც მივაღწიეთ. ეკონომიის მკაცრი რეჟიმის დანერგვის შედეგად ყოველწლიურად მცირდება დანახარჯები, და აი შედეგი: მეთერთმეტე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სოციალისტური ვალდებულებით ორი დღე უნდა გვეშრომა დაზოგილი მასალებით, მაგრამ საქმე ისე წარიმართა, რომ მარტო რვა თვის დანაზოგით ვიმუშავებთ 4,5 დღეს.

საწარმოს ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მეორეული რესურსების გამოყენებას. საამისოდ შექმნეს სპეციალური უბანი. ჭიმუშავეს და შემდეგ კი საკუთარი ძალებით დაამზადეს ნარჩენების გადასამუშავებელი არასტანდარტული მოწყობილობა. ახლა ნარჩენებიდან აქ უშვებენ როგორც კაბელს, ისე ფართო მოხმარების საგნებს. მავთულების ტექნოლოგიური ნარჩენებიდან, შემოცლილ საიზოლაციო მასალიდან, მაგალითად, საკონტროლო კაბელის გარსაცმსა და მოსარწყავ მილებს აკეთებენ. აითვისეს სხვა საქონლის წარმოებაც. აშკამად ქარხანა მთლიანად უნარჩენო ტექნოლოგიით მუშაობს და დამატებით 300 ათასი მანეთის პროდუქციას უშვებს. უნარჩენო ტექნოლოგიით ახალი ხუთწლედის დაწყება ელექტრიკოსთა შესანიშნავ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ „საქკაბელის“ ქარხნის კოლექტივი, რომელსაც 760 მომხმარებელი ორგანიზაცია ჰყავს, ელექტროტექნიკური მრეწველობის სხვა საწარმოებთან ერთად, ახალი ეკონომიკური ექსპერიმენტის პირობებში იღებს ყველა საკმაოდ დამაჯერებლადაც. ექსპერიმენტის მთავარი პირობაა მიწოდების ვალდებულების უუთუო შესრულება, და სასიამოვნოა, რომ მეკაბელეები ასი პროცენტით იცავენ სახელშეკრულებო დისციპლინას. ექსპერიმენტის პირობებში არამწარმოებლური ხარჯების შემცირების შედეგად მოგება შარშან 2-ჯერ, ხოლო მიმდინარე წლის რვა თვეში 1,5-ჯერ გაიზარდა. ამიტომაც წლეულს სოციალურ-კულტურული ღონისძიებების ფონდს 1983 წელთან შედარებით ორჯერ მეტი სახსრები დაერიცხა.

საწარმოს ხელმძღვანელობა ფართოდ იყენებს ექსპერიმენტით მინიჭებულ უფლებებს, სოლიდურ თანხას ხარჯავს წარმოების ტექნიკური განახლებისათვის და მრავალი ეკონომიკური ბერკეტის ამოქმედებისათვის. წლეულს სიახლეთა დასანერგად 65 ათასი მანეთი დახარჯეს, 20 პროცენტით გაზარდეს მუშათა საშუალო ხელფასი. განხორციელდა ღონისძიებათა კომპლექსი სამმართველო აპარატის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, ამოქმედდა წამახალისებელი დებულებები და მკვეთრად იმატა ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის გამომუშავებამაც.

გაძლიერდა კოლექტივის დაინტერესება კარგი საბოლოო შედეგებისათვის. ახლა მუშათა 85 პროცენტი გაერთიანებულია 28 ბრიგადაში, სადაც ითვალისწინებენ შრომითი მოხაწილეობის კოეფიციენტს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ბრიგადებში გაერთიანებული მუშათა 73 პროცენტი სამეურნეო ანგარიშზეა გადაყვანილი, ეს კი ახლა მთავარია. სამეურნეოანგარიშიანი ბრიგადის გეგმა საქარხნო პროგრამის განუყოფელი ნაწილი გახდა. ბრიგადებმა თვითონ იკისრეს შიგოპერატიული დაგეგმვა, ანგარიშობენ საწარმოო პროგრამის შესრულების ოპტიმალურ ვარიანტს, ინაწილებენ კოლექტიურ გამომუშავებას, განმტკიცდა დისციპლინა, დამყარდა წესრიგი. უახლოეს მომავალში მუშაობის ამ სისტემაში ჩაერთვება სამმართველო აპარატი და ამით შეიკვრება სამეურნეო ანგარიშის ციკლი. ეს კი შეესაბამება სკკპ პროგრამის პროექტის მოთხოვნებს. მასში ნათქვამია: პარტიას საჭიროდ მიაჩნია კიდევ უფრო განავითაროს და გაზარდოს სამეურნეო ანგარიშის ქმედითობა, თანამიმდევრულად გადაიყვანოს საწარმოები და გაერთიანებანი სრულ სამეურნეო ანგარიშზე, ამასთან გააძლიეროს ეკონომიკური ბერკეტები და შეამციროს ზემდგომი ორგანიზაციების მიერ დასაწესებელი მაჩვენებლების რიცხვი.

საწარმოში მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის შემსწავლელი სკოლა, რომელსაც პირადად ქარხნის დირექტორი გ. კუჭუხიძე ხელმძღვანელობს. კარგი, რომ ამ მხრივ აღმოფხვრილია ფორმალიზმი, ეკონომიკური სწავლება მჭიდროდ უკავშირდება პრაქტიკული ამოცანების გადაჭრის საკითხებს, არამწარმოებლური ხარჯების უთუო შემცირებას. სწორედ ამის შედეგია, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში პროდუქციის მოცულობის ზრდა 5-6 პუნქტით აღემატება მატერიალურ დანახარჯებს. ნაწარმთა მასალატევადობის შემცირებით მილიონი მანეთის პროდუქცია დამზადდა.

საწარმოს ხელმძღვანელობის, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების შეუნელებელი ყურადღების ცენტრშია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა. აქ დამზადებული 17 სახეობის ძირითადი პროდუქციიდან ათს საპატიო ხუთკუთხედი ამშვენებს. ეს კი ნიშნავს, რომ უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილი წარმოების მთლიან მოცულობაში 85 პროცენტს შეადგენს. ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვაში მიღწეული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის 1984 წელს ქარხნის კოლექტივი სსრ კავშირის სახსტანდარტის დიპლომით დაჯილდოვდა. ამ მხრივ მიღწეული შედეგი ზღვარი როდია. მეთორმეტე ხუთწლედის დამლევისათვის საპატიო ხუთკუთხედი მიენიჭება ყველა იმ ნაწარმს, რომელიც ატესტაციას ექვემდებარება.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რეკორდულია მაჩვენებელი წარმოების მოცულობის ზრდის მხრივ. მეთერთმეტე ხუთწლედში იგი თითქმის 70 პროცენტამდე გაიზარდა, რაც მთელი 26 პუნქტით სჭარბობს ვალდებულებით ნაკისრს.

რეზერვების გამოძებნა-ამოქმედებით ასეთი შედეგის მიღწევა მეთორმეტე ხუთწლედისათვის გაჭირდება. ამიტომ ზემდგომი ორგანოების თანხმობით შემუშავდა ქარხნის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების გეგმა, რომლის თანახმადაც აქ ფართო მოხმარების საგნების გამოსაშვებად ორი საწარმოო კორპუსი აიგება.

მეკაბელეებმა გულდასმით განიხილეს და შეისწავლეს მეთორმეტე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმის საკონტროლო ციფრები და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ყველა შესაძლებლობების ამოქმედებით, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით, სიმძლავრეთა მაქსიმალური ათვისებით, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენებით, ეკონომიის მკაცრი რეჟიმის დაცვით, შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის შემდგომი განმტკიცებით წარმოების მოცულობის საშუალო წლიური ზრდა მეთორმეტე ხუთწლედში საკონტროლო ციფრებით ნავარაუდევ 4,9 პროცენტს კი არა, 6 პროცენტს მიაღწევს. ეს კი ნიშნავს, რომ გეგმის გადამეტებით 6 მილიონი მანეთის პროდუქცია დამზადდება.

ქარხნის წარმატებები ბევრად განაპირობა სოციალურ საკითხებზე ზრუნვამ. კაპიტალურად შეკეთდა და თანამედროვე ინვენტარითა და მოწყობილობით აღიჭურვა სასადილო, მოიწყო აბანო-გასახდელები, კლუბი, აფთიაქი, სამედიცინო პუნქტი. აშენდა სასურსათო და ხილბოსტნეულის მაღაზიები, მუშა-მოსამსახურეთა განკარგულებაშია განახლებული ფეხბურთისა და მარტივი ტიპის სპორტული მოედნები. ქარხნის მეურნეობის დამხმარე ობიექტი მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფს მშრომელებს ბოსტნეულით, თაფლით და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებით. მიმდინარეობს სამუშაოები მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ობიექტების განვითარებისათვის. აშენდა ორი საცხოვრებელი სახლი, მალე დამთავრდება კიდევ ერთი სახლის მშენებლობა. აშენდება საქვაბე, სასტუმროს ტიპის 120-ადგილიანი საერთო საცხოვრებელი, რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, სათბური, სხვა სოციალური და საწარმოო დანიშნულების ობიექტი.

მრავალი ქმედითი ღონისძიება ხორციელდება საწარმოში მის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და მისი იდეოლოგიური უზრუნველყოფისათვის.

„საქკაბელის“ მუშაკთა ავანგარდში არიან კომუნისტები. მათ შორის გახლავან მწენეხავი ვ. კაპანაძე, მეგრავნილე ვ. კელენჯერიძე, ამდიდავები ვ. ედიშერიძე, დ. ბუხრაშვილი და ი. შაქარაშვილი. კომუნისტებთან ერთად თავდადებით შრომობენ კომკავშირელები — საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი ი. ბაბუაძე, მწენეხავი შ. ჩიკვაიძე, ზეინკალი ა შალამბერიძე, შემგრეხი ნ. გუნიავა, ამდიდავი გ. დიაკონიძე და სხვები. ისინი ყველანი, მთელ კოლექტივთან ერთად პირნათლად ხვდებიან სკკპ XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას

შ. ამაშუკელი.

ბიოორგანული ქიმიის უსაზღვრო შესაძლებლობანი

ჩვენს დროში საზოგადოების მატერიალური და კულტურული ცხოვრების შემდგომი განვითარება, ამასთან დაკავშირებით, ფართო სპექტრის უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტისათვის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება. თავის მხრივ ეს გარემოება დაბეჯითებით მოითხოვს ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის სამუშაოების ჰარმონიულად წარმართვას, რომელთაგან მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალ სამეცნიერო დაწესებულებებში პრიორიტეტული როლი ფუნდამენტურ გამოკვლევებს განეკუთვნება. შესაბამისად, პრინციპულად ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შესაქმნელად აკადემიური ინსტიტუტების როლის და პასუხისმგებლობის გაძლიერების აუცილებლობა ხაზგასმით არის მიუთითებული უმნიშვნელოვანეს პარტიულ დოკუმენტებში და ამხ. მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლებში. მართლაც, უმთავრესად ფუნდამენტური მეცნიერული მიმართულებები გვევლინება „იდეების გენერატორის“ როლში, გზას უკაფავს ახალ დარგებს და ეფექტიანობის ახალი, მაღალი დონის მიღწევის საშუალებას იძლევა. ამის მკაფიო დასტურია მრავალი ფაქტი ახლო ისტორიული წარსულიდან, მაგალითად, გასაოცარი მიღწევები ბიოტექნოლოგიის სფეროში, აგრეთვე კვანტური მექანიკის, გენური და უჯრედული ინჟინერიის და მთელი რიგი მოწინავე დარგების გამოცდილება. ცხადია ისიც, რომ ჩვენს დროში ატომური ელექტროსადგურების აგება შეუძლებელი იქნებოდა, ფიზიკოსებს გაეცლებით ადრე რომ არ ამოეხსნათ ატომის საიდუმლოებანი! თუმცა, არც ის იქნება ზედმეტი, გავიხსენოთ, რომ დასახელებული დარგების მნიშვნელობა მარტო გამოყენებით ასპექტებით არ შემოიფარგლება. როგორც მართებულად შენიშნავს აკადემიკოსი ი. ფროლოვი, მათ უდიდესი კულტურული ზოგადსაკაცობრიო ღირებულებაც აქვთ, რომელიც მთლიანად მეცნიერული ობიექტივიზმის უმნიშვნელოვანეს ელემენტს შეადგენს. სამწუხაროდ, ზოგჯერ აქა-იქ მაინც შეიმჩნევა ფუნდამენტურ მეცნიერებათა როლის არასაკმარისი შეფასება და გამოყენებით მეცნიერებებთან მათი დაპირისპირების ცდაც კი.

საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგს შორის, რომლებიც მოსნენიებულია მეთორმეტე ხუთწლედის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა პროექტში, მნიშვნელოვანი ადგილი დათმობილი აქვს ფუნდამენტური ხასიათის ბიოლოგიურ მეცნიერებათა კომპლექსს: ბიოტექნოლოგიას, ფიზიკურ-ქიმიურ ბიოლოგიას და მედიცინისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ფიზიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა მიღების მეცნიერული საფუძვლების დამუშავებას. ამათგან თავისი მასშტაბურობით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგია და ბიოორგანული ქიმია. ეს გარემოება, აკადემიკოს ი. ოვჩინიკოვის აზრით, განპირობებულია იმით, რომ ბიოორგანული ქიმია წარმოიშვა ცოდნათა კომპლექსის შესაყარზე, რომელიც საფუძვლად უდევს მეცნიერებს სიცოცხლის შესახებ და მოწოდებულია უზრუნველყოს კაცობრიობა ყველაზე უფრო ძვირფასი პროდუქტებით — მედიცინისათვის, სოფლის მეურნეობისათვის და, გარკვეული ზომით, ენერგეტიკისთვისაც. ამასთან ერთად დიდად დასაფასებელია, რომ ამ გზით მიღებული პროდუქტები ხასიათდება ეკოლოგიური სისუფთავით, რაც შესამჩნევად გამორიცხავს გარემოს გაჭუჭყიანებას. ცნობილია, რომ სხვადასხვა მიდგომა, რომელთა შემწეობით წარმოებს სიცოცხლის საიდუმლოების შესწავლა, გამოირჩევა თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი დადებითი და ზოგჯერ უნიკალური შესაძლებლობებით. მიუხედავად ამისა, არავითარ ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე ყველა პროცესი დაფუძნებულია ქიმიურ გარდაქმნებზე. სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ამ დებულების რაციონალურად გამოყენების საფუძველზე შესაძლებელი გახდა თანამედროვე ბიოლოგიის ყველაზე უფრო შთამბეჭდავი მიღწევა, რაც ბრწყინვალედ გამოვლინდა ფიზიკოსების უოტსონის და კრიკის მიერ ამქამად უკვე ყველასათვის ცნობილ ორმაგი სპირალის მოდელში. ამ შესანიშნავმა მიღწევამ რამდენადმე ჩრდილში მოაქცია ნატიფი ორგანული სინთეზის კორიფეების, დიდი ბრიტანეთის სამეფო აკადემიის პრეზიდენტის ა. ტოდის და რ. ქორანას ფუძემდებელი გამოკვლევები ბიოორგანული ქიმიის სფეროში. საჭიროა აღინიშნოს, რომ სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი გენების სინთეზს, ამათგან ა. ტოდმა ჯერ კიდევ 1950 წელს, მსოფლიოში პირველმა, დაუკავშირა ქიმიურად ერთმანეთს ორი ნუკლეოტიდი, რასაც იმ დროს რაიმე პრაქტიკული ღირებულება არ გააჩნდა და ამისათვის მაინც დაიმსახურა ნობელის პრემია, ხოლო მისმა სახელოვანმა მოწაფემ რ. ქორანამ 1970 წელს პირველმა შეძლო სინთეზური გენის მიღება. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის უგულებელყოფა, რომ ტოდის, ჩარგაფის და სხვა ბიოორგანიკოსების ფუძემდებლური გამოკვლევების გარეშე ორმაგი სპირალის პრობლემა დიდხანს გამოუცნობი დარჩებოდა.

ბიოლოგიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ხშირად შეიმჩნეოდა ამა თუ იმ მიმართულების წარმოჩენა წინა პლანზე. ამკამად ასეთი რამ აშკარად აღინიშნება ბიოტექნოლოგიის სფეროში. ეს სავსებით ბუნებრივია. თანამედროვე ბიოტექნოლოგია, ერთი მხრივ, კლასიკური მიკრობიოლოგიის და ენზიმოლოგიის არნახული განვითარების წყალობით შესაძლებლობას იძლევა მრეწველობის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დარგების შესაქმნელად, ხოლო მეორე მხრივ, ეფექტიანად იყენებს მოლეკულური ბიოლოგიის გასაოცარ მიღწევებს, რომელთა შემწეობით შესაძლებელი ხდება ორგანიზმების მემკვიდრეობითი აპარატის მიზანდასახული გარდაქმნები. მიუხედავად ამისა, გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ ბიოორგანული ქიმიის განვითარების უკვე ახლანდელ ეტაპზე სულ უფრო აშკარად და თანდათანობით, ნამედროვე მეთოდებით ავთვისებიან სიმსივნეების საწინააღმდეგო ახალ ეფექტიან საშუალებათა საკვლევ-ხაძიებო სამუშაოები, მთელ მსოფლიოში გაცხოველებით რომ წარმოებს. მართალია, შეუდარებლად უფრო მცირე მასშტაბებით და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის მხრივ უკიდურესად მძიმე პირობებში, მაგრამ გარკვეულ სამუშაოები ამ მიმართულებით დამაიმედებელი შედეგებით წარმოებს აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ორგანული სინთეზის ლაბორატორიაში და საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში.

ზემოთ დასახელებულ დარგებში, მუშაობა ჩვეულებრივ ხორციელდება შორს გამიზნული გრძელვადიანი პროგრამების მიხედვით და მათი წარმატება დიდად არის დამოკიდებული თანამედროვე ტექნიკურ საშუალებებით შესაბამისი ლაბორატორიების აღჭურვაზე და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაზე. ამ მხრივ, ვფიქრობთ სრულიად აუცილებელია დაუყოვნებლივ შევუდგეთ ასეთი კადრების საფუძვლიან მომზადებას ბიოორგანული ქიმიის დარგში, როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორგანული ქიმიის კათედრაზე.

ზემოთ განხილული საკითხების თვალთახედვით, ჩვენის აზრით, საჭიროა ყურადღება მიექცეს კიდევ ერთ გარემოებას. სამწუხაროდ, ზოგჯერ ისეც ხდება, რომ პრესტიჟულ-ფუნდამენტური ხასიათის თემატიკას ამოფარებულ ამა თუ იმ ქვედანაყოფებში დაუსრულებლად იკვლევენ ერთსა და იგივე პროცესს თუ მოვლენას მზარდი ტენდენციით ვლინდება პრაქტიკულად განუსაზღვრელი შესაძლებლობები პრინციპულად ახალი ბიოლოგიური სისტემების შესაქმნელად, მათ შორის მიზანდასახული კომპლექსური თვისებების მქონე სინთეზური ფერმენტებისა, რომელთა მსგავსი ბუნებას არასოდეს შეუქმნია. ასეთივე უნიკალური შესაძლებლობანი ისახება ცილოვანი ბუნების ტიპის ეგრეთ წოდებული „ხეიროპეპტიდების“ სინთეზების დარგში, რომლებიც წარმოადგენენ უმნიშვნელოვანესი ბიოლოგიური ფუნქციების, მათ შორის მეხსიერების, ტკივილის, სიზმრების და სხვა ურთულესი ფუნქციების ეფექტიან რეგულატორებს. და ბოლოს, არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს ნატიფი ორგანული სინთეზის თანამედროვე ეტაპზე ბიოორგანული ქიმიის ეფექტიანობა. ამ ეტაპზე ბიოორგანული ქიმიის ინტენსიფიკაციით. საბედნიეროდ, ქიმიკოსთა უმრავლესობა იმ სფეროში, რომელშიაც მე მიხდება მოღვაწეობა, ასეც იქცევა. მაგალითად, ჩვენი ინსტიტუტის ორგანული სინთეზის ლაბორატორიაში, ძირითადი ბრძოლვადიანი თემის პარალელურად, გარკვეული სამუშაოები სრულდება სახელმწიფო თემის ხაზითაც, სანელდობრ, უკანასკნელ ხანს მიღებულია ახალი ეგრეთ წოდებული უნივერსალური ელემენტორორგანული კონცენტრატები. და მათი წინასწარი გამოცდის შედეგად, ზოოვეტერინარული ინსტიტუტის კვების კათედრასთან ერთად, დადგენილია ამ პრეპარატების ეფექტიანი გამოყენების ფართო შესაძლებლობანი მეცხოველეობაში, აგრეთვე ბაღჩეული კულტურების სასათბურო მეურნეობებში. ბუნებრივია, რომ ამასთან დაკავშირებით მალე დაისმება მათი პრაქტიკაში დანერგვის საკითხი. ეს კი მართლაც უაღრესად ძნელი ამოცანაა. სამწუხაროდ, დანერგვის პრობლემა ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის ჯეროვანად გადაჭრილი. არცთუ იშვიათად დაინტერესებული ორგანიზაციები დანერგვის საკითხებისადმი ფაქტიურად დაუინტერესებლობას ან, უბრალოდ, ინდიფერენტულობას იჩენენ, თითქოს ეს პროცესი მხოლოდ მეცნიერების პასუხისმგებლობით უნდა განისაზღვრებოდეს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში დანერგვის საკითხებს კურირებას უწევს ბევრი ორგანიზაცია, ვფიქრობთ, აუცილებელია საბჭოთა კავშირის მასშტაბით ერთი მთლიანი დანერგვის ეფექტიანი მექანიზმის გამომუშავება და სათანადო ორგანიზაციული სტრუქტურული ერთეულების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ სასარგებლო მეცნიერული შედეგების დროულად დანერგვას მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში.

რამაზ ლაღიძე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ორგანული სინთეზის ლაბორატორიის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.

მართალი სიტყვა მასმგს

სკკპ XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის მნიშვნელოვან შუშაობას ეწევიან საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციები. რესპუბლიკის მშრომელთა კოლექტივებში ეწყობა ლექცია-სუბბრები, კითხვა-პასუხის საღამოები, თეორიული და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები და სხვა იდეოლოგიური ხასიათის ღონისძიებანი. ამას გარდა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობა ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ლექტორთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

სწორედ ამ მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობამ ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში მოაწყო ლექტორთა ერთდღიანი თათბირ-სემინარი თემაზე: „საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მეცნიერებათა პროპაგანდა სკკპ XXVII ყრილობის მზადებასთან დაკავშირებით“, რომელიც გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. სურგულაძემ, შემდეგ სემინარის მონაწილეთა წინაშე ქამოვიდნენ: პროფესორები: გ. ყვანია, ვ. ფარკოსაძე, დოცენტები ი. ბაქრაძე, ა. ციციშვილი და ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი ფ. შახარაძე. მომხსენებლებმა თავიანთ გამოსვლებში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ლექტორთა კომპეტენტურობის საკითხს, რომ მათი საუბარი, სიტყვა მსმენელისათვის იყოს შთამბეჭდავი და რაც მთავარია პიროვნების შემოქმედების ორიენტირი.

დასასრულ მომხსენებლებმა ამომწურავი პასუხი გასცეს მსმენელთა მრავალ შეკითხვას.

გ. კილაძე.

„კომუნისტს“ უპასუხებს

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო

ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა წერილი „ეს უცვლელი მენიუ“, რომელიც საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის ნაკლოვანებებს ეხებოდა. ამის გამო საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ი. სულაბერიძე რედაქციას სწერს:

წერილი განიხილეს რესტორნების „საქართველოს“, „აფხაზეთის“ და „არაგვის“ კოლექტივების საერთო კრებებზე, რომლებზეც შეიმუშავეს და დასახეს ღონისძიებები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

თბილისის რესტორნების ტრესტის დირექციის ბრძანებით უხარისხო კერძების მომზადების, კომპლექსური სადილების უქონლობისა და მომსახურების დაბალი დონისათვის დამნაშავე პირები დაისაჯნენ, კერძოდ, რესტორან „საქართველოს“ წარმოების გამგე რ. ჯელაძე განთავისუფლებულია თანამდებობიდან, მზარეულ მ. აბესაძეს გამოცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო მზარეულ გ. ლარცულიანს — საყვედური, ბუღალტერ-კალკულატორს გ. კაპანაძეს გამოცხადა საყვედური.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიამ, სპეციალურად იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მიიღო შესაბამისი დადგენილება. კოლეგიამ თბილისის რესტორნების ტრესტის ხელმძღვანელობის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა. თბილისის საზოგადოებრივი კვების სამმართველოს დავალა დეტალურად შეისწავლოს რესტორნებში მომხმარებელთა მომსახურების, კერძების ხარისხის, ასორტიმენტის საკმარისი საქონლით მომარაგების საკითხები და | განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ქურნალისტთა საახალწლო შეხვედრა

თბილისში ჟურნალისტთა სახლში გაიმართა რესპუბლიკური და საქალაქო „გაზეთების, ტელევიზიისა და რადიოს, საინფორმაციო წარმომადგენლების, ცენტრალურ გამოცემათა საკუთარი კორესპონდენტების საახალწლო შეხვედრა. შეხვედრაზე გამოვიდნენ სოციალისტური შრომის გმირი, პოეტი-აკადემიკოსი ი. აბაშიძე, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი გ. ბედნიერიშვილი, რესპუბლიკის სახტელერადიოს თავმჯდომარე ნ. ფოფხაძე და სხვები, რომლებმაც ჟურნალისტებს მიულოცეს ახალი წელი, უსურვეს ჯანმრთელობა, ბედნიერება და ახალი შემოქმედებითი წარმატებანი ქვეყნისა და რესპუბლიკის კომუნისტთა უმაღლესი ფორუმების ღირსეული შეხვედრისათვის მშრომელთა დარაზმვაში.

ჟურნალისტებს მიესალმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე.

(საქინფორმი).

საქმიანად, თვითკრიტიკულად

ეროვნული ფიზიკოსები

პარტიული ცხოვრება: რაიონულ და ქალაქთა ორგანიზაციებზე

კონკრეტული სამეურნეო მაჩვენებლებით თუ ვიმსჯელებთ, განვლილ საანგარიშო პერიოდში ცხაკაიელი მშრომელები ცუდად არ გარჯილან. მათ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს რაიონის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველა სფეროში. კარგი შედეგები აქვთ სამრეწველო საწარმოთა მუშაკებს, რომლებმაც ნაყოფიერი გარჯით საგრძნობლად გაზარდეს წარმოების მოცულობა (მარტო შარშანდელ თერთმეტ თვეში გამოშვებულია 2.400 ათასი მანეთის ზეგეგმითი ნაწარმი), რამაც უზრუნველყო პროდუქციის დამზადების ხუთწლიანი დავალების შესრულება.

ურიგოდ არც ტრანსპორტელებს უშრომიათ — მათ გადაჭარბებით შეასრულეს საანგარიშო პერიოდის და მთლიანად ხუთწლედის დავალებები. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, აქ მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის, პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის გაუმჯობესებით მიღწეულია პროდუქციის წარმოებისა და დამზადების ზრდის სტაბილური ტემპი. დარგის მუშაკებმა ხუთწლედის მანძილზე აწარმოეს მილიონ 700 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, თანამიმდევრულად ხორციელდება წინა კონფერენციის მიერ დასახული სოციალური განვითარების პროგრამა...

ყველაფერი ეს, ბევრ სხვა საქმესთან ერთად, ცხადია, ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდის სრულყოფის, კადრების სწორი შერჩევა-განაწილების, პირველად პარტორგანიზაციათა მებრძოლურობის, მინდობილი საქმისათვის მშრომელთა პასუხისმგებლობის ზრდის შედეგია.

საანგარიშო პერიოდში ცხაკაიელთა წინსვლის დამადასტურებელი ანალოგიური მაგალითების მოტანა კიდევ საკმაოდ შეიძლება. და თითქოს არც იქნებოდა გასაკვირი, რომ რაიონული პარტორგანიზაციის XXXVII კონფერენციის მონაწილეებს ძირითადად ამ მიღწევებზე ესაუბრათ, მეტი ყურადღება დაეთმოთ წარმატებებისათვის, ყოველმხრივ გაანალიზებინათ საამისოდ გაწეული საქმიანობა. მაგრამ კონფერენციის დელეგატები ასე არ მოქცეულან. მათ ყურადღება ძირითადად არსებულ ნაკლოვანებებზე, შემდგომი წინსვლის ხელშემშლელ მიზეზებზე, იმ პრობლემებზე გაამახვილეს, რომელთა ოპერატიული გამოსწორება უფრო გაზრდის ცხაკაიელთა წარმატებებს, დაეხმარება მათ უკეთ მუშაობაში.

კონფერენციის ასეთი სწორი მიმართულება კი მთლიანად განსაზღვრა პარტიის რაიკომის საქმიანმა, კონკრეტულმა და შინაარსიანმა საანგარიშო მოხსენებამ, რომელიც რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. ჯიქიამ გააკეთა. მასში ნათლად გამოიკვეთა საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის ავ-კარგი, როგორც წარმატებათა განმაპირობებელი, ისე ხარვეზების გამომწვევი მიზეზები. მოხსენების კრიტიკული და თვითკრიტიკული ტონი ცალკეულ ჩამორჩენილ საწარმოთა თუ საზოგადოებრივ მეურნეობათა თავკაცებთან ერთად თანაბრად შეეხო კონკრეტულად თვით პარტიის რაიკომის ბიუროს წევრებს, მდივნებს, რაისაბჭოს აღმასკომის, აგროსამრეწველო გაერთიანების ხელმძღვანელებს, ყველას, ვინც პასუხს აგებს მოცემულ უბანზე საქმის მდგომარეობისათვის. და, რაც მთავარია, კარგად ჩანდა, რომ თვითკრიტიკა სულაც არ იყო მოსალოდნელი კრიტიკასაგან თავის დაზღვევის მიზნით თქმული, ხოლო კრიტიკა — თვითმიზანი, ლამაზი ოქმის გაფორმებისათვის საჭირო რამ საშუალება. ყველაფერი, უწინარესად, ემსახურებოდა ერთ მთავარ მიზანს — სრულად წარმოეჩინა ყოველი პასუხისმგებელი მუშაკის, შრომითი კოლექტივის საქმიანობ

„საჭირო არ არის იბრძოლო სისუფთავისთვის, საჭიროა დაგავო!“

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

ᲩᲔᲚᲘ, ᲠᲘᲒᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ

ᲐᲛ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲗ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲛᲐ ᲞᲠᲔᲡᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲝᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲑ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲐᲓ ᲬᲐᲛᲝᲭᲛᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲐᲛ ᲪᲜᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲛᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲨᲠᲝᲛᲐ-ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲤᲣᲫᲕᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ. ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲡᲐᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲛᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ ᲒᲘᲠᲩᲔᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐᲛᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲤᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲨᲠᲝᲛᲐ-ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲤᲣᲫᲕᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲬᲘᲠᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲨᲔᲜᲘᲨᲜ

პერსპექტივა

ფაქტები • მოვლენები

მომავლის იმედით

მთელი დედამიწის ადამიანები ახალ წელს შეხვდნენ მომავლის რწმენით, იმის იმედით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მშვიდობის წლად გამოცხადებული 1986 წელი მშვიდობიან ათწლეულში გადავა და რომ XXI საუკუნეში კაცობრიობა მშვიდობის, ნდობისა და თანამშრომლობის პირობებში შეაბიჯებს. ამ რწმენასა და იმედს უნერგავს მილიონებს საბჭოთა კავშირის საშვიდობო ინიციატივები, მისი აქტიური მეცადინეობა, რომლის მიზანია მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება, საერთაშორისო ურთიერთობის გაჯანსაღება, ურთიერთგაგების, ნდობისა და განიარაღების გზების ძიება.

საბჭოთა კავშირის კეთილი ნების დამაჯერებელ დასტურად, მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან მჭიდრო თანამეგობრობით დღევანდელობის ყველაზე გადაუდებელი პრობლემის გადასაჭრელად — დედამიწაზე გამალებული შეიარაღების შესაწყვეტად და კოსმოსში მისი გადატანის თავიდან ასაცილებლად პრაქტიკული მეცადინეობის, მტკიცე გადაწყვეტილების მოწმობად აფასებენ სხვადასხვა ქვეყნის მახობრივი ინფორმაციის საშუალებანი, თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლას საბჭოთა ტელევიზიით, მის მიმართვას ამერიკის შეერთებული შტატების ხალხისადმი და პასუხს დიდი ლონდონის საბჭოს ლიდერის კ. ლივინგსტონის მიმართვაზე.

მშვიდობის შენობა ცალკეულ აგურებს ემყარება, დაძაბულობის შენელების კაპიტალი მისხალ-მისხალ გროვდება, აღნიშნავს ბულგარეთის „**რაბოტნიჩესკო დელო**“. ამიტომ საბჭოთა კავშირში დიდად აფასებენ ცალკეული ტერიტორიებისა და ქალაქების ბირთვული იარაღისაგან თავისუფალ ზონებად გამოცხადებას. უბირთვო ზონებისათვის გაშლილი მოძრაობა იდეალისტური ოცნებები როდია — იგი გამოხატავს უბრალო ადამიანების მისწრაფებას მშვიდობის, თანამშრომლობისა და დაძაბულობის შენელებისადმი.

ომის საფრთხის შემცირებისა და გამალებული შეიარაღების ალაგმვის მიმართულებით წინ გადადგმული ნაბიჯი უწოდა მ. ს. გორბაჩოვის პასუხს თავის მიმართვაზე დიდი ლონდონის საბჭოს ლიდერმა **კ. ლივინგსტონმა.** ეს პასუხი, განაცხადა მან, მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება დასავლეთთან და ამას სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ. საბჭოთა კავშირი მზად არის წარმოადგინოს მტკიცე და ეფექტიანი გარანტიები იმისა, რომ არ იხმარს ბირთვულ იარაღს არა მარტო ლონდონს, არამედ ბრიტანეთის მთელი ტერიტორიის წინააღმდეგაც იმ პირობით, თუ დიდი ბრიტანეთი უარს იტყვის საკუთარ ბირთვულ შეიარაღებაზე და თავის ტერიტორიაზე გააუქმებს უცხოეთის ბირთვულ ბაზებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პირდაპირი მიმართვა ამერიკელი ხალხებისადმი, რომელიც შეიცავს საშვიდობო მოწოდებას, ღირსშესანიშნავი მოვლენა გახდა, იტყობინება ამერიკის ტელეკომპანია **ეი ბი სი.** საბჭოთა ადამიანებს, ისევე როგორც ამერიკელებს, მშვიდობა სწადიათ, და ეს სავსებით ცხადად გამოხატა მ. ს. გორბაჩოვმა. ორი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა მიერ გამოხატული მისწრაფება, არ გაუშვან ხელიდან შეხვედრაზე დასახული შესაძლებლობები და განაგრძონ დიალოგი, სასიკეთო ნიშანია ახალი, 1986 წლისათვის.

აღნიშნავს რა, რომ ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა საახალწლო მიმართვებში დადებითად შეფასდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ჟენევის უმაღლესი დონის შეხვედრა, ამერიკის **იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის** სააგენტო დასკვნის, რომ რეიგანის იგრეთ წოდებული „კოსმოსური თავდაცვის“ შექმნის პროგრამა „ვლავაც ღრმა უთანხმოების გამიზეზებ საკითხად რჩება. სააგენტო ამასთან დაკავშირებით გამოყოფს საბჭოთა ხელმძღვანელის სიტყვებს, რომ უაზრობაა ახალ სახეობათა იარაღის მეშვეობით უშიშროების განმტკიცების ცდა.

საბჭოთა ხელმძღვანელი, წერს „**ნიუ-იორკ ტაიმსი**“, ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწისადმი მიმართულ წერილში აღნიშნავს, რომ პროგრესი ჟენევის მოლაპარაკების დროს შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ მთლიანად აიკრძალება დამკვრელი კოსმოსური შეიარაღება და გაუქმდება „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამა.

„გორბაჩოვი გვთავაზობს ბირთვული პოტენციალების შემცირებას, რეიგანი ოცნებობს „ვარსკვლავეთის ომებზე“ — ასე აფასებს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციებს თანამედროვეობის კარდინალური პრობლემების მიმართ საფრანგეთის „**ლუმანიტე**“, როცა განმარტავს ორი ახელმწიფოს ხელმძღვანელთა საახალწლო მიმართვებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნი, წერს გაზეთი, აღნიშნავს, რომ საჭიროა მისხალ-მისხალ გროვდებოდეს უძვირფასესი კაპიტალი — საახელმწიფოებსა და ხალხებს შორის ნდობა, მეცადინეობა ხმარდებოდეს ბირთვული შეიარაღების შემცირებისა და კოსმოსის მშვიდობიან სფეროდ შენარჩუნების საკითხებისადმი მიძღვნილი ჟენევის მოლაპარაკების წარმატებას. ამერიკის შეერთებული შტატების ბუნებრივია, ამერიკის ეროვნული ინტერესებიც ამ საკითხებზე ერთ-ერთ ადგილზეა, ამბობს ინდოეთის გაზეთი „**ჰინდუ**“. გამალებული შეიარაღების გზაზე გადადგმული ყოველი ახალი ნაბიჯი ზრდის საფრთხეს მთელი კაცობრიობისათვის. ცხოვრება დაჟინებით მოითხოვს სვლას ბირთვული არსენალების შემცირებისა და კოსმოსის მშვიდობიან სფეროდ შენარჩუნების გზით. სწორედ ამის მიღწევას ცდილობს საბჭოთა კავშირი.

სოციალიზმის ქვეყნები:

ახალი წარმატებებისაკენ

ბულგარეთი

სოფია. ბულგარელ ხალხს შეუძლია თამამად შესცქეროდეს ხვალინდელ დღეს: 1985 წლისა და საერთოდ მერვე ხუთწლედის გეგმები მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა. ეკონომიკის განვითარების ტემპი შემდგომ ხუთწლედშიც სწრაფი და სტაბილური იქნება. აღნიშნა ბულგარელი ხალხისადმი ტელევიზიით საახალწლო მიმართვაში ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ტ. ჟივკოვმა.

გასული წლის მთავარი საგარეო-პოლიტიკური მოვლენა გახდა, თქვა მან, საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის ჟენევის შეხვედრა. მან კაცობრიობის მოუტანა თერმობირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილების იმედი.

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები ახალ წელს შეხვდნენ კიდევ უფრო მტკიცედ შეკავშირებულნი და ძლიერნი. შეთანხმებულია ახალი ხუთწლედისათვის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმები, მიღებულია ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ზევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე პერიოდის კომპლექსური პროგრამა, მათი მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომის საიმედო ფარია ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, განაცხადა ბულგარეთის ხელმძღვანელმა.

გდრ

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხი თამამად მიაბიჯებს წინ, დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ემზადება გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის XI ყრილობისათვის, აღნიშნულია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. ჰონეკერის საახალწლო სტატიაში, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა.

იცავს რა საბჭოთა კავშირთან ერთად მშვიდობასა და სოციალიზმს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა კვლავაც იქნება სოციალისტური თანამეგობრობის საიმედო რგოლი, იბრძოლებს ევროპასა და მთელ მსოფლიოში უშიშროებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის, ნათქვამია სტატიაში.

პოლონეთი

ვარშავა. 1985 წელმა პოლონეთს მრავალი დადებითი ცვლილება მოუტანა, განაცხადა პოლონეთის ტელევიზიით საახალწლო გამოსვლისას პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. იარუზელსკიმ. მან აღნიშნა, რომ გრძელდებოდა ქვეყანაში ვითარების ნორმალიზაცია. ეს იყო წელი, როცა განმტკიცდა პოლონეთის პოზიციები სოციალისტურ თანამეგობრობაში, წარმატებით გრძელდებოდა ინტეგრაციის, სამოკავშირეო ურთიერთმოქმედების პროცესები, მნიშვნელოვანწილად აღდგა პოლონეთის როლი მსოფლიოში.

შეეხო რა ქვეყნის წინაშე დასახულ ამოცანებს, პოლონეთის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მთელი ხალხი უნდა ჩაებას არსებული პრობლემების დაძლევისათვის ბრძოლაში. მატერიალურ სფეროში ყველაზე საუკეთესო და ყველაზე მარტივი რეცეპტი ის არის, რომ თითოეული მოვალეა პატიოსნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს თავისი მოვალეობანი. მან რწმენა გამოთქვა, რომ 1986 წელს ქვეყნის ეკონომიკისათვის დამახასიათებელი იქნება შემდგომი პროგრამა.

სატურნირო ორბიტა

კალათბურთი. მოსკოვსა და ვილნიუსში დაიწყო საკავშირო ჩემპიონატის მესამე წრე. ამ ეტაპზე 8 საუკეთესო კოლექტივი ასპარეზობს. მოსკოვში თამაშობენ ცსკა, მოსკოვის „დინამო“, რიგის ვეფი და კიევის „სტროიტელი“, ვილნიუსში — ადგილობრივი „სტატიბა“, კაუნასის „ჟალგირისი“, ლენინგრადის „სპარტაკი“ და თბილისის „დინამო“. ამჯერად გთავაზობთ მხოლოდ ერთი მატჩის შედეგს: ცსკა-მოსკოვის „დინამო“ — 105:97. ეს შეხვედრა ერთი დღით აღრე გადიმართა იმის გამო, რომ ცსკა-ს იანვარს თასების მფლობელთა თასის გათამაშების კალენდარული მატჩი უნდა გამართოს საფრანგეთის „ტ.ე. ფრანსეისთან“.

ჰაბანერი. ჰოლანდიის ქალაქ გრონინგენში დამთავრებულ ჭაბუკ მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატზე პირველ ადგილს დაეუფლა ლენინგრადელი ალექსანდრე ხალიფმანი, რომ 11 ქულა დაგროვა და [illegible] ჯიმს ჰაუელს (დიდი ბრიტანეთი) 3 ქულით გაუსწრო.

ემზადებიან მოსწავლეთა სპარტაკიადისათვის



იუნენებენ რა დარიან დღეებს, მდინარე მტკვარზე ვარჯიშს შეუდგნენ საქართველოს დედაქალაქის ნორჩი ნიჩბოსნები, **რომლებიც ემზადებიან 1987 წლის მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისათვის.** ესენი არიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გლდანის სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები.

სურათებზე: მწვრთნელი პაატა კობალაძე მორიგ მეცადინეობას ატარებს ნორჩ სპორტმენებთან; სპორტის ოსტატობის კანდიდატები მეცხრეკლასელები ნინო გეჯაძე (მარცხნივ) და თამარ მაისურაძე;

მ. დათიკაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ინგლისი

„შნესრიგოვის“ ჩასახშობად

ლონდონი. 4 იანვარი (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო იტყობინება, კონსერვატორთა მთავრობამ ჯარების დამატებითი კონტინგენტი გაგზავნა ჩრდილოეთ ირლანდიაში „**უწესრიგობის**“ ჩასახშობად, **რომელმაც შესამჩნევად იმატა მას შემდეგ, რაც 1985 წლის ნოემბერში დადო ინგლის-ირლანდიის შეთანხმება.** ამ დოკუმენტს, რომელმაც ირლანდიას ფორმალურად მიანიჭა „საკონსულტაციო“ როლი ოლსტერის საქმეებში, საგრძნობი ცვლილებანი არ მოჰყოლია, ვინაიდან იგი არ შეხებია დაძაბულობის ძირეულ მიზეზებს პროვინციაში.

ჩრდილოეთ ირლანდიაში ლონდონის ეგრეთ წოდებული „პირდაპირი მმართველობის“ წლების მანძილზე გამწვავდა რელიგიური შუღლი, გაუარესდა მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, კიდევ უფრო გაიზარდა ძალმომრეობა. ოფიციალური მონაცემებით, ოლსტერში ამ ხნის მანძილზე დაიღუპა 2.400 კაცი, ათიათასობით დაიჭრა ან სამუდამოდ ხეიბარი დარჩა.

◆ ფილიპინები

საშიში თამაში

მანილა. 4 იანვარი. (საკადესი). ფილიპინების საშინაო საქმეებში უცხოეთის ჩარევა საშიში თამაშია, რომელსაც წყედეგად შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკური ვითარების შემდგომი დესტაბილიზაცია, განაცხადა აქ პრეზიდენტმა მარკოსმა. მან აღნიშნა, რომ ფილიპინებში ძალთა პოლიტიკური ბალანსის შეცვლის მიზნით ჩარევა ხორციელდება დიპლომატიური ზემოქმედების, დაზვერვის ორგანოებისა და საიდუმლო ფონდების გამოყენების გზით.

ადგილობრივი პრესის მოწმობით, ბოლო ხანს ამერიკის საელჩო სულ უფრო აქტიურად ცდილობს გავლენა მოახდინოს ქვეყანაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიაზე.

ფოტოფაქტი

საფრანგეთი: აღიკვეთოს რასიზმი!

● ნიკარაგუა-ჰონდურასი

მტკიცე პროტესტი

მანაგუა. 4 იანვარი. (საკადესი). ნიკარაგუის მთავრობამ ჰონდურასის ხელისუფალთ მტკიცე პროტესტი განუცხადა იმ ახალი შეიარაღებული პროვოკაციების გამო, რომლებიც ამ ქვეყნის რეაქციულმა მხედრიონმა მოაწყო რესპუბლიკის ჩრდილოეთ საზღვარზე. საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტაში ნათქვამია, რომ 1985 წლის 28 და 30 დეკემბერს ჰონდურასის სამხედრო მოსამსახურეებმა ცეცხლი დაუშინეს ნიკარაგუის ტერიტორიაზე განლაგებულ სახლინისტური სახალხო არმიის სასაზღვრო ჯარებს. ეს მტრული აქციები მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს გაღვივოს ჰონდურასისა და ნიკარაგუის სასაზღვრო კონფლიქტი და გაიადვილოს ინტერვენციონისტული მიზნების განხორციელება.

ნიკარაგუის მთავრობამ ჰონდურასის ხელისუფალთ მოსთხოვა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ პროვოკაციები და არ დაუშვან თავიანთი ქვეყნის ტერიტორიის გამოყენება ამერიკის აგრესიის პლაცდარმად.

პარიზში მრავალათასიანი დემონსტრაციით დამთავრდა თანასწორუფლებიანობისათვის, რასიზმის წინააღმდეგ მარში, რომელმაც ერთი თვის წინათ აიღო სტარტი ბორდოში. იგი მოეწყო 15 ახალგაზრდული ორგანიზაციის მოწოდებით, **რომლებიც აერთიანებენ იმიგრანტ მშრომელთა ოჯახების წარმომადგენელებს. დემონსტრანტებს მოჰქონდათ ტრანსპარანტები, რომლებიც მოითხოვდნენ თანასწორუფლებიანობასა და რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.**

სურათზე: დემონსტრაციის მონაწილენი.

აშპ-საკადესის ფოტო.

ᲘᲣᲛᲝᲠᲘ ᲑᲐᲡᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲤᲚᲝᲨᲘ

ᲫᲚᲕᲔᲜᲘ

მოხუც მიხოს ოთხმოცი წელი შეუსრულდა და თანასოფლელებმა გადაწყვიტეს საჩუქარი მიეძღვნათ.

— მოდი კასრით ღვინო მივართვათ, ჯანზე მოიყვანს, — თქვა ერთმა.

— ყოველმა ოჯახმა თითო ლიტრი ღვინო გაიღოს, — თქვა მეორემ.

დიდი კასრი კარდაკარ დაჰქონდათ და შიგ ყველა თითო ლიტრ ღვინოს ასხამდა.

კასრი გაივსო და მოხუცს მიუტანეს.

— დიდ მადლობას მოგახსენებთ, კეთილო თანასოფლელებო, — უთხრა მიხომ. მაგრამ ამდენ ღვინოს მარტო მე რა დამალევენებს. თქვენც დამეწვიეთ და ერთად მოვილხინთ.

თანასოფლელები სიამოვნებით ეწვივნენ. კასრი გახსნეს, გასინჯეს და... წყალი აღმოჩნდა.

საიდუმლო უკვე მისახვედრი იყო. ერთმა გლეხმა იფიქრა: „მოდი წყალს ჩავასხამ, ამბელა კასრში ერთი ლიტრა რას შეემჩნევაო“. მაგრამ დანარჩენებმაც ასევე იფიქრეს და კასრი სუფთა წყლით აივსო.

მოხუცი მიხო გულიანად ხარხარებდა. ის ხომ მთელი ოთხმოცი წელია თანასოფლელებს იცნობდა!

● — **მამიკო** რა არის ვაკუუმი?

მამა (მსმელი) დაფიქრდა და მიუგო:

— თავში მაქვს, შვილო, მაგრამ ზუსტად ვერ გეტყვი.

● — **ᲨᲕᲔᲒᲣᲚᲔᲑᲐ** სად გაატარე?

— პირველი ნახევარი პურმარილებში.

— მეორე ნახევარი?

— თაბაშირში.

● **ᲔᲠᲗᲛᲐ** დალაქმა კლიენტს გაპარსვის დროს ჯერ მარჯვენა ლოყა გაუპრა, მერე მარცხენა და თან ჰკითხა:

— ჩემთან სხვა დროსაც მობრძანდებით?

— არა, — მიუგო მან, — ცხვირი ქეიფში დამიზიანდა.

● — **ᲠᲐᲢᲝᲛ** ლოთობთ? — უთხრა ოფიცერმა ჯარისკაცს, — რომ არ სვამდეთ, აქამდე სერჟანტის წოდებას მიიღებდით.

— კი, ბატონო ლეიტენანტო, მაგრამ, როცა დავლევ ხოლმე, თავი პოლკოვნიკი მგონია.

ᲓᲠᲝᲣᲚᲘ ᲡᲚᲐᲠᲢᲣᲚᲔᲑᲘ

(ᲒᲐᲚᲐᲠᲘᲓᲜᲐᲜ: „ᲜᲣᲜᲣᲐᲡ ᲢᲧᲕᲔᲑᲘ“).

„თავგანწირული“

ის შერჩა ჭიქას და ვეღარ
შერჩა
სავსე ჭიქასთან უნარი დავის
და არ უყურებთ ამ საწყალს,
ბერავს,
სავსე ჭიქას არ შეაკლა
თავი?!

„ᲑᲔᲯᲘᲗᲘ“

ზუსტად თამადის დადგენილ
„რიგით“
„ითვისებს“ ღვინოს სულ
სავსე ჭიქით,
თუმცა თამადას არა ჰკლავს
ფიქრი —
ბოლოს შინ როგორ მიაღწევს
იგი,
კაცი აწ უკვე ღვინისგან
შტერი,
სუფრის ყოფილი „ბეჯითი“
წევრი.

ᲣᲢᲘᲤᲐᲠᲘ

მისი ბღავილი ეზოში, ძირს,
სამასი კაცის იწირავს
ძილს...

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲔᲗᲔᲙᲐᲐᲣᲠᲘ.

მხატვრის ღიმილი — ი. ყეინაშვილის ნახატი.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

● ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ. კამპუჩიელი ხალხი ამაყობს თვალსაჩინო მიღწევებით, რომლებითაც აღინიშნა მისთვის განვლილი წელი, განაცხადა საახალწლო წერილში კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ჰენგ სამრინმა. წლის ყველაზე დიდი მოვლენები უწოდა მან კამპუჩიის ტერიტორიაზე განვლილი წლის მშრალი სეზონის პერიოდში პოლპოტელთა და სხვა რეაქციული ბანდების პლაცდარმების ლიკვიდაციასა და პარტიის V ყრილობის წარმატებას.

● ᲛᲐᲜᲐ�გᲣᲐ. ცენტრალურ ამერიკაში მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო მარშის მონაწილენი ახალ წელს ნიკარაგუა-ჰონდურასის საზღვარზე შეხვდნენ.

რევოლუციური ნიკარაგუის მიწა-წყალზე მედგარ მწყობრად დგანან მუშები, სტუდენტები, პროფკავშირელი აქტივისტები და პროგრესული იხტელიგენციის წარმომადგენლები — 25 ქვეყნის მარშის მონაწილენი, რომლებიც პროტესტს აცხადებენ ამერიკის შეერთებული შტატების ავანტიურისტული, მილიტარისტული პოლიტიკის წინააღმდეგ, მოითხოვენ რეგიონის ხალხების თვითგამორკვევის უფლების პატივისცემას.

● ᲥᲐᲑᲣᲚᲘ. პაკისტანის **რეჟიმი განაგრძობს შეიარაღებულ აგრესიას პუშტუნთა ტომების წინააღმდეგ პაიბერის რაიონში.** როგორც ბახთარის სააგენტო იტყობინება, დამსჯელებმა მიწასთან გაასწორეს პუშტუნების მთელი რიგი სოფლები, გაანადგურეს მრავალი სახლი. ბარბაროსული საარტილერიო სროლის შედეგად დაიღუპა ასობით ქალი, ბავშვი და მოხუცი. ეს აქციები აღშფოთებას იწვევს პაკისტანელ ჯარისკაცთა შორისაც კი, რომლებიც ტომების განსახლების ზონაში გაგზავნეს. გახშირდა აჯანყებული პუშტუნების მხარეზე პაკისტანელი სამხედრო მოსამსახურეების გადასვლის შემთხვევები.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

5 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — რიტმული ტანვარჯიში. 10.10 — დოკუმენტური ტელეფილმი. 10.20 — სპორტლოტო. 10.30 — მაღვიძარა. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს. 12.00 — დილის ფოსტა. 12.30 მოგზაურთა კლუბი. 13.30 — მუსიკალური კიოსკი. 14.00 — სოფლის საათი. 15.00 — მულტფილმი. 15.20 — „ბალეტის შესახებ“. 16.40 — კალათბურთი. 17.10 — ახალი ამბები. 17.15 — სტუმრად ზღაპართან. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — მულტფილმი. 19.55 — მხატვრული ფილმი „ბოროტება მზის ქვეშ“. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — ფიგურული ციგურაობა. 23.30 — სპორტი გასულ კვირაში. 24.00 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — „მშვენდლობა და არქიტექტურა“. 9.25 — საბავშვო მხატვრული ტელეფილმი. 10.30 — ხალხური მელოდიები. 10.45 — საბჭოთა უკრაინის სახვითი ხელოვნების გამოფენა. 11.05— კონცერტი. 12.00 — „ნიჟნი ნოვგოროდის მიწა-წყლის ფერები“. 12.25 — რეკლამა. 12.30 — „სტუმარი მომავლიდან“. V სერია. 13.35 — რუსული მეტყველება. 14.05 — მუსიკალური გადაცემა. 14.45 — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. გრიბოვი. 15.45 — მულტფილმი. 16.05 — ლ. კასილი. „კონდუიტი და შვამბრანია“. 17.00 — დოკუმენტური ტელეფილმი. 17.30 — გადაცემის „მსოფლიო და ახალგაზრდობა“ ყოველთვიური დანართი. 19.00 — ალერძინების ეპოქის მუსიკა. 20.00 — აშკარა — დაუჯერებელი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — კალათბურთი. 22.00 — „ვრემია“. 22.45— „ეკრანზეა კინოკომედია“, „წმინდა ილარიონის დღეობა“.

6 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — სპორტი გასულ კვირაში. 10.10 — მულტფილმები. 10.40 — კონცერტი. 11.05 — დოკუმენტური ტელეფილმი. 11.25 — ფილმ-კონცერტი 15.50 — დოკუმენტური ფილმები. 16.30 — თოჯინები უკრავენ და ცეკვავენ. 16.55 — „გაკვეთილების შემდეგ“. ტელეჟურნალი. 17.45 — კონცერტი. 18.05 — მხატვრული ტელეფილმმ „ჯერა—მინარბარელი მონადირე“ I სერია. 19.15— „დაჩქარება“. ადამიანი და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მხატვრული ტელეფილმები. „ოპერაცია „ცეცხლის ბურთი“ და „სასიკვდილო ხაფანგი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — რ. ლეონკავალოს ოპერა „ჯამბაზები“. 23.55— დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. „აკადემიკოსი პალადინი“. 9.45 — მხატვრული ფილმი „წმინდა ილარიონის დღეობა“. 11.05 — ხელმარჯვენი. 11.35 — უკრავს საქართველოს სსრ სახელმწიფოთა ხალხური საკრავების ორკესტრი“. 12.00 — მეცნიერება და ცხოვრება. 12.30 — საბავშვო მხატვრული ტელეფილმი. „ხანგრძლივი ხსოვნა“. I სერია. 13.35 — რუსული მეტყველება. 14.05 მულტფილმები. 14.25 — სპორტული ფილმ-ანკეტა. 15.20 —ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 19.15 — ფრენბურთი. 19.45 — ოპერეტის მსახიობთა კონცერტი. 20.15 — საერთაშორისო პანორამა. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“ 21.15 — „ჯანმრთელობა“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ფილმი „თანამემამულენი“.

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝᲜᲖᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

5 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.45 — მოამბე. 10.30 — ბავშვებისათვის. მაღვიძარა. 11.00 — სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად. სამეურნეო მექანიზმი: სიახლენი, პრობლემები. 11.30 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო. სატელევიზიო დარბაზი ბავშვებისთვის „ცისკარა“. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 12.00 — „დილის ფოსტა“ — მუსიკალური გადაცემა (მ.). 12.30 საკვირაო გამოფენა. 12.35 — ახალგაზრდა შემოქმედთა კლუბი. მიხეილ იაშვილი. 13.05 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.35 — საკვირაო გამოფენა. 13.40 — გასართობი პროგრამა „რიტმი, რიტმი, რიტმი“. 14.15 — კინოაფიშა. 14.45 — ვესტნიკი. 15.15 — საკვირაო გამოფენა. 15.20 — ამბავი ნამდვილი ადამიანებისა — მხატვრული ფილმი „პირადი ცხოვრება“. 17.10 — საკვირაო გამოფენა. 17.15 — მთა, სოფელი, პრობლემები. 18.05 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო. ჩვენი პრემიერა. „ქართული ხალხური ნოველა“. საქართველოს ტელევიზიის დადგმა (გადაცემა მეხუთე). 18.25 — აქტუალური ეკრანი. 18.45 — ზღაპრის გუდა. 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მ.). 19.45 — სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად. თხუთმეტი წუთი ყრილობის დელეგატებთან. 20.00 — მოამბე. 20.45 — საკვირაო გამოფენა. 20.50 — კონცერტი. „შტრაუსის სამყაროში“. 21.25 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო“ — ლენინგრადის „სპარტაკი“. 4 იანვრის შეხვედრის ვიდეოჩანაწერი. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — ახალგაზრდული შეხვედრები. თ. გვერდწოდილის შეხვედრა ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის ახალგაზრდებთან.

6 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.45 — მოამბე. 10.30 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. მულტიპლიკაციური ფილმი „ორი ნეკერჩხალი“. 11.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყველაფერი გზით იწყება“. 11.35 — საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს ხალხური საკრავების ორკესტრის კონცერტი. გადაცემა მომზადებულია ცენტრალური ტელევიზიისათვის (მ.). 12.00 — ჩვენს დიდ სამშობლოში. დოკუმენტური ფილმი „ამომავალი მზისაკენ“. 12.50 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე“. 13.00 — მასწავლებლის საათი. ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — დღის პროგრამის დასურვა. 16.00 — საღამოს გადაცემათა პროგრამა. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — რეკლამა. 16.25 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. მულტიპლიკაციური ფილმი „მარია მირაბელა“. 17.30 — ჩვენი პრემიერა — „ქართული ხალხური ნოველა“ (საქართველოს ტელევიზიის დადგმა) გადაცემა მეექვსე. 18.40 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ჭაღარა ურალი“. 18.55 — ცეროდენას ეკრანი. 19.10 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 19.30 — სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის შესახვედრად. დიალოგი ყრილობის დელეგატთან“ (გადაცემა მეოთხე). 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00— მოამბე. 20.30 — უჩვენებს სატელევიზიო თეატრი. რ. ერისთავი — „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — საესტრადო პანორამა. 23.40 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე კაუნასის „ჟალგირისი“-თბილისის „დინამო“. 5 იანვრის შეხვედრის ვიდეოჩანაწერი.

მეორე პროგრამა. 16.30 — პროგრამა. 16.35 — დოკუმენტური ფილმი „დიმიტრი შოსტაკოვიჩი“. 17.40 — მხატვრული ფილმი „ბავშვთა სამყარო“.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07209 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ. 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14